ხელშეკრულება №13

ქ.თბილისი 1 თებერვალი 2011წ.

სსიპ ქ. თბილისის №62 საჯარო სკოლა შემდგომში «დამკვეთი» მისი დირექტორის თამარ მალაზონიას სახით ერთის მხრივ და შ.პ.ს. "მვპ", მისი დირექტორის მამუკა ფაჩუაშვილის სახით, შემდგომში «შემსრულებელი», მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. ხელშეკრულების საგანია დამკვეთისთვის განცხადების გამოქვეყნება გაზეთში «24 საათი».

2. მხარეთა ვალდებულებები
2.1. შემსრულებელი ვალდებულია განათავსოს დამკვეთის მიერ მისთვის წარდგენილი განცხადება გაზეთში «24 საათი».
2.2 დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებაში დადგენილი წესით და პირობებით.

3. ანგარიშსწორების პირობები
3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს (შემდგომში - «ხელშეკრულების ღირებულება).

3.2 ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესახებ განცხადების გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს, ხოლო სხვა ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნების ღირებულება C ბლოკში 0.21 (ოცდაერთი ცენტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 1სმ^2 (ერთი კვადრატულ სანტიმეტრი) -ზე.
3.3 დამკვეთი ვალდებულია უნაღდო ანგარიშსწორება შემსრულებელთან მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

4. ფორს-მაჟორი
4.1 მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას.
4.2 მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობიდან 3 დღის განმავლობაში აცნობოს მეორე მხარეს მისი არსებობის შესახებ.

5. დავების გადაწყვეტის წესი
5.1 ყველა სადაო საკითხი მხარეებს შორის გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოშლა ან მასში ცვლილებების შეტანა
6.1 ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.
6.2 მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებამდე.

7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო მეორე შემსრულებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

«შემსრულებელი»

შ.პ.ს. «მეპ»
ქ. თბილისი, ი. გამრეკელის 51
ს/კოდი 204465131
საბანკო რეკვიზიტები:
სს «კორსტანდარტ ბანკი»
ბანკის კოდი: **AGREGE22**
ანგარიშსწორების ანგარიში: **GE24KS00000000041 44 225**
დირექტორი
მამუკა ფაჩუაშვილი

«დამკვეთი»

სსიპ ქ. თბილისის №62 საჯარო სკოლა
ს.კ. 211351605
დირექტორი
თამარ მალაზონია